ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47. 47233395**

თარიღი:**05/12/2023**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მაჟორიტარი დეპუტატის - კახაბერ სიხარულიძის, უმრავლესობის წევრის კობა კალანდაძისა და საკრებულოს წევრის (პარტიული სიით) - მაია გიორგაძის ანგარიში, 2022 წლის ნოემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობის ამომრჩევლებთან (მოსახლეობასთან) შეხვედრის სხდომის

ოქმი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 9 ნოემბერი 2023 წელი.

შეხვედრის ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთული.

შეხვედრას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ირაკლი კუჭავა.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ლაშა თოლორდავა - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;

კახაბერ სიხარულიძე - მაჟორიტარი დეპუტატი, ხიდისთავის ადმინისტრაციულ ერთეულში;

მაია გიორგაძე - საკრებულოს წევრი;

კობა კალანდაძე - უმრავლესობის წევრი;

ზურაბ მათითაიშვილი - მერის წარმომადგენელი ხიდისთავის ადმინისტრაციულ ერთეულში;

საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე და საკრებულოს რეგლამენტის 124-ე მუხლის შესაბამისად, მიმდინარეობს მეტად საპასუხისმგებლო ეტაპი, რომელიც საკრებულოს წევრის მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანაგრიშის ჩატარებას ითვალისწინებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დამსწრეთ წარედგინა კახაბერ სიხარულიძის, კობა კალანდაძისა და მაია გიორგაძის ანგარიშები 2022 წლის ნოემბრიდან დღემდე გაწეული საქმიანობის შესახებ. მათ ისაუბრეს ამომრჩეველთა პრობლემური საკითხების მიზნით გაწეულ საქმიანობაზე და ხიდისთავის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ პროექტებზე. მათ აღნიშნეს, რომ საანგარიშო პერიოდში შეხვედრები ქონდათ ამომრჩვლებთან (მოქალაქეებთან). მათი ძირითადი მოთხოვნა სოციალურ პრობლემებს და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ეხებოდა. არაერთ მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა მედიკამენტების შეძენის თუ სამკურნალო საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის შესაბამისად.

უფლებამოსილების ფარგლებში ისინი მონაწილეობას იღებდნენ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის პროცესში, ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დახმარების გაცემის წესის შემუშავებაში,

მერის წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად ღებულობდნენ მონაწილეობას სოფლის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განსახორციელებაში (ანგარიშები თან ერთვის).

ამომრჩეველთა მიერ ყურადღება გამახვილდა რამდენიმე პრობლემაზე, კერძოდ:

ხიდისთავის ცენტრში მდებარე ორი უსახური შენობა საჭიროებს დემონტაჟს, ან რეაბილიტაციას, რომ შეიძინოს ფუნქცია;

სოფელ ზენობანში, დუმბაძის მუზეუმიდან 50 მ-ით ქვემოთ არსებული მილი საჭიროებს ტექნიკით დახმარებას, რომ გაიწმინდოს, ან აუცილებლობის შემთხვევაში შეიცვალოს;

ბიბლიოთეკაში თანამშრომელთა ხელფასი შეადგენს 240 ლარს, რაც ძალიან მცირეა და შესაძლებლობის ფარგლებში ითხოვენ ხელფასის მატებას;

მოქალაქე მზია მეფარიშვილის სახლის კედლები დაბზარულია, ამასთან დაკავშირებით არსებობს გეოლოგიური დასკვნა. ესაჭიროება დახმარება და ამასთან დაკავშირებით გასაკეთებელია ხარჯთაღრიცხვა;

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დადებითად.

დეპუტატებმა მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, საანგარიშო პერიოდში თანადგომისთვის და აღნიშნეს, რომ არა მათი ჩართულობა არ მიიღწეოდა სასურველი შედეგი.

ასევე, მადლობა გადაუხადეს მოსახლეობას თანადგომისათვის და შეპირდნენ მათ, რომ შეძლებისდაგვარად დაეხმარებიან ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში.

სხდომის თვმჯდომარე

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი